საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2023 წელი

2023 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 21 529 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.5%-ით მეტია. აქედან, ექსპორტი გაიზარდა 9.1%-ით და 6 090.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო, იმპორტი გაიზარდა 14%-ით და 15 438.45 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა. 2023 წელს უარყოფითმა სავაჭრო სალდომ 9 347.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 43.4 პროცენტია.

ადგილობრივი ექსპორტი

ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რე-ექსპორტის გარეშე), მთლიანი ექსპორტის 46 პროცენტს შეადგენს. 2023 წელს ადგილობრივი **ექსპორტის შემცირება** ძირითადად განხორციელდა შემდეგი პროდუქციის ხარჯზე:

- ფეროშენადნობი - 180.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 60%)
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 474.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 54%)
- ძვირფასი ლითონის მადნები - 65.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 23%)
- აზოტოვანი სასუქები - 158.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 44%)
- თხილი და კაკალი - 85.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 13%)

ამასთან, ადგილობრივ პროდუქციაში **ექსპორტის ზრდა** დაფიქსირდა ისეთ მნიშვნელოვან სასაქონლო პოზიციებზე, როგორიცაა:

- ოქრო -88.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 8.9%)
- სპირტიანი სასმელები - 104.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 11.1%)
- უალკოჰოლო სასმელები - 108.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 31.4%)
- მინერალური წყალი -131.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 18%)
- ღვინო - 257.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 9.2%)
- ელექტროენერგია - 95.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 13.2%)

რე - ექსპორტი

საქართველოს მთლიანი ექსპორტის ზრდა ძირითადად განხორციელდა **რე-ექსპორტის მნიშვნელოვნად ზრდის ხარჯზე.** კერძოდ, 2023 წელს რე-ექსპორტი 74.5%-ით გაიზარდა, 3 299.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 54% დაიკავა (2022-33.8%). რე-ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- სატვირთო ავტომობილები - 47.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 45%)

- მსუბუქი ავტომობილები - 2 126.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 135%)
- სიგარეტები - 76.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 24%)
- სამედიცინო ხელსაწყოები - 51.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 23%)
- სამკურნალო საშუალებები - 126.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 16%)
- გამომთვლელი მანქანები - 27.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 50%)
- მიკროავტობუსები - 22.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 104%)

საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2017-2023 წლის მდგომარეობით

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2020 წლიდან (პანდემიის შემდგომ) მნიშვნელოვანი ზრდის ტემპით ხასიათდება და ამ ტენდენციას 2023 წლის ჩათვლით ინარჩუნებს. ამასთან, საგარეო ვაჭრობის ორივე კომპონენტი, როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2017-2023 წლებში



საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ბრუნვის მიხედვით

2023 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68.5 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (2 979.3 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (2 401.5 მლნ. აშშ დოლარი) და აშშ (2 046.3 მლნ. აშშ დოლარი).



საქართველოს ექსპორტი (რე-ექსპორტის ჩათვლით)

2023 წელს ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 80.3 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: აზერბაიჯანი (862.1 მლნ. აშშ დოლარი), სომხეთი (787.1 მლნ. აშშ დოლარი) და ყაზახეთი (703.0 მლნ. აშშ დოლარი)



2023 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 2 126.6 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 34.9 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს სპილენძის მადნები და კონცენტრატები 479.3 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 7.9 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ყურძნის ნატურალური ღვინოები 259.0 მლნ. აშშ დოლარით (4.3 პროცენტი).



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 15%-ით გაიზარდა და 1 437 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო** პოზიციების ექსპორტი გაიზარდა 7%-ით და 4 654 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **ღვინო** - ექსპორტი 259 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 3%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 65% (ზრდა 5%), პოლონეთი 6% (ზრდა 3%), უკრაინა 6% (ზრდა 6%), ჩინეთი 5% (კლება 6%).
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 196.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 42%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 34% (ზრდა 42%), უკრაინა 12% (ზრდა 0.1%), საფრანგეთი 9%

(ზრდა 76%), სომხეთი 12% (ზრდა 5-ჯერ), ბელარუსი 9% (ზრდა 52%), სინგაპური 5% (ზრდა 20%).

- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 131.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 17%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 47% (ზრდა 21%), ყაზახეთი 19% (ზრდა 3%), უკრაინა 11% (ზრდა 48%), ლიეტუვა 6% (ზრდა 19%), უზბეკეთი 6% (ზრდა 56%).
- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 109.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 32%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 56% (ზრდა 54%), აზერბაიჯანი 12% (ზრდა 31%), ყაზახეთი 10% (ზრდა 96%), სომხეთი 10% (კლება 16%).
- **ხილ-ბოსტნეულის წვენები** - ექსპორტი 16.2 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 4%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 24% (ზრდა 7%), აშშ 18% (ზრდა 10%), გერმანია 15% (კლება 31%), ავსტრალია 7% (ზრდა 14%).
- **ცოცხალი ცხვარი** - ექსპორტი 44.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 100%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 34% (ზრდა 20%), საუდის არაბეთი 36% (ზრდა 184%), ერაყი 17% (2022-0), ქუვეითი 7% (2022-0).
- **სიგარეტები** - ექსპორტი 76.6 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 24%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 65% (2022-0), ყაზახეთი 24% (კლება 56%), ინდოეთი 3% (ზრდა 64%), ირანი 3% (2022-0).
- **სამედიცინო და ვეტ ხელსაწყოები** - ექსპორტი 51.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 23%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 57% (ზრდა 36%), სინგაპური 3% (ზრდა 14%), რუსეთი 5% (ზრდა 9%), უზბეკეთი 5% (ზრდა 37%).
- **სატვირთო ავტომობილები** - ექსპორტი 47.9 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 45%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 54% (ზრდა 110%), სომხეთი 27% (ზრდა 41%), თურქეთი 8% (2022-ექსპორტი 97 ათასი აშშ დოლარი).
- **მიკროავტობუსები** - ექსპორტი 22.3 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 104%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: სომხეთი 88% (ზრდა 123%), აზერბაიჯანი 10% (ზრდა 7%).
- **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი** - ექსპორტი 79.6 აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 37%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ერაყი 75% (ზრდა 89%), აზერბაიჯანი 24% (კლება 16%).
- **გამომთვლელი მანქანები** - ექსპორტი 27.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 50%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ლიეტუვა 41% (ზრდა 50%), სომხეთი 22% (ზრდა 33%), პოლონეთი 18% (2022-60 ათასი აშშ დოლარი).
- **ოქრო** - ექსპორტი 88.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 9%). საექსპორტო ბაზრები: შვეიცარია 86% (ზრდა 0.1%), თურქეთი 11% (ზრდა 7-ჯერ), ემირატები 3% (ზრდა 155%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 2 126.6 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 135%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 29% (ზრდა 8-ჯერ), ყაზახეთი 28% (ზრდა 5-ჯერ), აზერბაიჯანი 21% (ზრდა 42%), სომხეთი 14% (ზრდა 107%).
- **მედიკამენტები** - ექსპორტი 126.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 16%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 52% (ზრდა 15%), აზერბაიჯანი 21% (ზრდა 16%), სომხეთი 9% (ზრდა 27%).

საქართველოს ექსპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **თხილი** - ექსპორტი 89.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 13%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია 13% (კლება 50%), იტალია 18% (კლება 46%), ესპანეთი 7% (ზრდა 25%), სომხეთი 7% (კლება 28%), თურქეთი 8% (ზრდა 174%).
- **ძვირფასი ლითონის მადნები** - 65.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 23%). საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 92% (კლება 25%), ბელგია 2% (2022-0), შვეიცარია 5% (2022-0).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 180.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 61%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 26% (კლება 57%), აშშ 38% (კლება 70%), თურქეთი 21% (კლება 36%).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 158.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 44%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პერუ 39% (კლება 59%), რუმინეთი 14% (ზრდა 31%), მაროკო 11% (2022-0) ტანზანია 7% (ზრდა 104%), ინდოეთი 4% (კლება 77%).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 479.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 53%). საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი 50% (კლება 40%), ჩინეთი 37% (კლება 69%), ესპანეთი 12% (ზრდა 54%).

საქართველოს იმპორტი

2023 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 70.5 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (2 570.1 მლნ. აშშ დოლარი), აშშ (1 949.3 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (1 744.5 მლნ. აშშ დოლარი).



უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2023 წელს წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 3 162.4 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 20.5 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს ნავთობი და ნავთობპროდუქტები იკავებს 1 166.9 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7.6 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა დაფასოებული სამკურნალო საშუალებები 542.8 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 3.5 პროცენტი).



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 9% გაიზარდა და 2 016 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის იმპორტი** 15% გაიზარდა და 13 423 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი საქართველოში გაიზარდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **ნაღების კარაქი** - 36.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 10%). იმპორტიორი ქვეყნებია: საფრანგეთი 34% (ზრდა 79%), ირანი 9% (ზრდა 114%), ფინეთი 9% (ზრდა 25%), ნიდერლანდები 9% (ზრდა 3-ჯერ), პარაგვაი 8% (კლება 46%), ურუგვაი 8% (კლება 56%).
- **ღორის ხორცი გაყინული** - იმპორტი 62.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 42%). იმპორტიორი ქვეყნები: ბრაზილია 87% (ზრდა 59%), კანადა 7% (ზრდა 22%).
- **შაქარი** - იმპორტი 99.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 11%), იმპორტიორი ქვეყნებია: ბრაზილია 44% (კლება 3%), აგ საამიროები 9% (2022-0), რუსეთი 15% (2022 - 72 ათასი აშშ დოლარი), მაროკო 13% (2022-0), საფრანგეთი 8% (ზრდა 49%), ინდოეთი 3% (2022-0),

- **მეტალოკონსტრუქციები** - 132.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 56%). იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 48% (ზრდა 18%), ინდოეთი 19% (ზრდა 9-ჯერ), ჩინეთი 8% (ზრდა 70%), ავსტრია 7% (ზრდა 2%).
- **მსუბუქი ავტომობილები -** 3 162 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 85%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: აშშ 58% (ზრდა 103%), იაპონია 18% (ზრდა 105%), გერმანია 10% (ზრდა 76%).
- **სატელეფონო აპარატები** - 375.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 16%). იმპორტიორი ქვეყნებია: არაბთა გაერთიანებული საამიროები 52% (ზრდა 25%), ჩეხეთი 20% (ზრდა 63%), ვიეტნამი 7% (ზრდა 46%).
- **სამკურნალო საშუალებები -** 542.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 34%) იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 28% (ზრდა 109%), შვეიცარია 10% (ზრდა 68%), გერმანია 10% (ზრდა 40%), საფრანგეთი 6% (ზრდა 4%), უნგრეთი 8% (ზრდა 42%).

საქართველოში იმპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **ნავთობის აირები** - 445 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 3%). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 70% (კლება 9%), რუსეთი 29% (ზრდა 17%).
- **ფრინველის ხორცი და სუბპროდუქტები გაყინული** - იმპორტი 93.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 0.2%). იმპორტიორი ქვეყნები: ბრაზილია 20% (კლება 2%), ჩინეთი 20% (ზრდა 39%), თურქეთი 19% (კლება 11%).
- **მცენარეული ზეთი -** 45.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 4%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 85% (კლება 5%), უკრაინა 12% (ზრდა 3.5-ჯერ).
- **ხორბალი** - 57.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 11%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყანა: რუსეთი 98% (კლება 9%).
- **ხორბლის ფქვილი** - 37.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 45%). იმპორტის 96% განხორციელდა რუსეთიდან (კლება 46%).
- **მანგანუმის მადნები -** 19.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 37%). იმპორტიორი ქვეყნებია: გაბონი 61% (კლება 55%), საფრანგეთი 30% (ზრდა 165%), თურქეთი 9% (კლება 22%).
- **ძვირფასი ლითონის მადნები** - 51.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 40%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყანები: სომხეთი 99% (კლება 38%), მაროკო 1% (2022-0).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - 236.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 69%). იმპორტიორი ქვეყნებია: სომხეთი 72% (კლება 58%), ინდონეზია 11% (კლება 68%), ჩილე 9% (კლება 85%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - 1 167 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის შემცირება 13%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 47% (კლება 11%), რუმინეთი 14% (კლება 33%), აზერბაიჯანი 8% (ზრდა 86%), თურქმენეთი 7% (კლება 47%), საბერძნეთი 3% (კლება 13%).

საქართველო - ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვა

ევროკავშირთან ბრუნვა 15%-ით გაიზარდა, 4 500 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ბრუნვის 21% დაიკავა **(2022 = 21%)**. **ექსპორტი** შემცირდა 18%-ით, 704.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 11.6% შეადგინა (**2022-15%). იმპორტი** 24%-ით გაიზარდა და 3 795.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 24.6% დაიკავა **(2022 =23%).**

ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 22%-ით შემცირდა, 576 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში **საქართველოს** მთლიანი ექსპორტის 81.8% დაიკავა (საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 20.6%).

ექსპორტი

სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი შემცირდა 6%-ით და 163 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქცია შემცირდა 21%-ით და 541.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 30.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 27%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საფრანგეთი 56% (ზრდა 76%), ესპანეთი 18% (ზრდა 90%), ნიდერლანდები 7% (კლება 33%).
- **ხილ-ბოსტნეულის კონსერვები** - ექსპორტი 10.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 46%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია 53% (ზრდა 153%), იტალია 14% (ზრდა 28%), ჩეხეთი 8% (ზრდა 8%), ავსტრია 5% (ზრდა 22%).
- **მინერალური წყალი -** ექსპორტი 11.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 17%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ლიეტუვა 68% (ზრდა 19%), გერმანია 18% (ზრდა 58%), ლატვია 6% (კლება 37%).
- **საბურავები და რეზინის პნევმატური სალტეები** - ექსპორტი 10.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 31%). ძირითადია საექსპორტო ბაზრებია: პოლონეთი 38% (ზრდა 17%), ნიდერლანდები 25% (ზრდა 44%), ესტონეთში 11% (ზრდა 15-ჯერ).
- **გამომთვლელი მანქანები** - ექსპორტი 16.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 111%). ექსპორტი განხორციელდა: ლიეტუვა 67% (ზრდა 50%), პოლონეთი 29% (ზრდა 8-ჯერ).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 36 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 94%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუმინეთი 60% (ზრდა 31%), ლიეტუვა 14% (2022-0), ესპანეთი 18% (2022-0).
- **ღვინო** - ექსპორტი 30.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 0.3%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: პოლონეთი 49% (ზრდა 3%), გერმანია 15% (ზრდა 43%), ლატვია 13% (კლება 8%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 295.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 32%). ექსპორტი განხორციელდა ბულგარეთში 81% (კლება 40%), ესპანეთში 19% (ზრდა 54%).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 6.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 75%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ესპანეთი 26% (კლება 48%), ნიდერლანდები 19% (ზრდა 8-ჯერ), იტალია 19% (ზრდა 93%), საფრანგეთი 22% (კლება 52%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 24.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 19%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ბელგია 80% (კლება 21%), რუმინეთი 6% (ზრდა 12%).
- **თხილი** - ექსპორტი 50 მლნ. აშშ დოლარი (კლება 32%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: იტალია 32% (კლება 46%), გერმანია 23% (კლება 50%), ესპანეთი 13% (ზრდა 25%), საფრანგეთი 9% (ზრდა 17%).

იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 29%-ით გაიზარდა და 520.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტი გაიზარდა 23%-ით და 3 275 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ევროკავშირიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **კარაქი** - იმპორტი 22.5 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა 73%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 54% (ზრდა 79%), ნიდერლანდები 14% (ზრდა 3-ჯერ), ფინეთი 15% (ზრდა 25%).
- **საკვები ინგრედიენტები** - იმპორტი 36.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 31%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 23% (ზრდა 20%), პოლონეთი 19% (ზრდა 58%), იტალია 12% (ზრდა 18%), ესპანეთი 6% (ზრდა 54%).
- **ხელსაწყოები მედიცინაში გამოსაყენებელი** - იმპორტი 53.2 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 46%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ბელგია 27% (ზრდა 59%), გერმანია 31% (ზრდა 60%), ნიდერლანდები 20% (ზრდა 1%).
- **ნარევები გამოსაყენებელი სასმელების წარმოებაში** - იმპორტი 48.8 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 27%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 74% (ზრდა 21%), ირლანდია 17% (ზრდა 66%), გერმანია 8% (ზრდა 12%).
- **სატვირთო ავტომობილები -** იმპორტი 105.8 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 55%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 42% (ზრდა 52%), პოლონეთი 12% (ზრდა 64%), ნიდერლანდები 12% (ზრდა 47%), საფრანგეთი 9% (ზრდა 61%), იტალია 9% (ზრდა 68%).
- **სატელეფონო აპარატები -** იმპორტი 106.9 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 44%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ჩეხეთი 71% (ზრდა 63%), ნიდერლანდები 10% (კლება 11%), შვედეთი 7% (ზრდა 10%).
- **სამკურნალო საშუალებები** - იმპორტი 248.6 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 21%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 23% (ზრდა 40%), უნგრეთი 17% (ზრდა 42%), საფრანგეთი 13% ზრდა 4%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - იმპორტი 455.6 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 57%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 70% (ზრდა 76%), ბელგია 5% (ზრდა 20%), პოლონეთი 4% (ზრდა 2%), ჩეხეთი 3% ზრდა 1%).

ევროკავშირიდან იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:

- **ფრინველის ხორცი** - იმპორტი 23.3 მლნ აშშ დოლარი (კლება 2%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ნიდერლანდები 37% (ზრდა 10%), გერმანია 25% (კლება 20%), საფრანგეთი 18% (ზრდა 173%).
- **შაქარი** - იმპორტი 9.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 52%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 83% (ზრდა 49%), ნიდერლანდები 15% (კლება 25%). პოლონეთიდან შაქარი შემცირდა 100%-ით (2022 - იმპორტი 50.6 ათასი აშშ დოლარი).
- **ლაბორატორიული რეაგენტები** - იმპორტი 13.7 მლნ აშშ დოლარი (კლება 14%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 44% (კლება 13%), იტალია 18% (ზრდა 42%), საფრანგეთი 13% (კლება 12%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 343.6 მლნ აშშ დოლარი (კლება 22%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუმინეთი 49% (კლება 33%), ბულგარეთი 28% (კლება 16%), საბერძნეთი 11% (კლება 13%), გერმანია 4% (კლება 5%).

საქართველო - დსთ-ს საგარეო სავაჭრო ბრუნვა

დსთ-ს ქვეყნებთან **სავაჭრო ბრუნვა 14%-ით გაიზარდა,** 7 311.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი 34% დაიკავა (2022 - 34%). **ექსპორტი** გაიზარდა 50%-ით, 4016.1 მლნ. აშშ დოლარი და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 65.9% შეადგინა (2022-48%). **იმპორტი** 12%-ით შემცირდა, 3 295 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 21.3% დაიკავა (2022–27%).

დსთ-ში ადგილობრივი ექსპორტი 3%-ით შემცირდა 1060 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 26.4% დაიკავა (საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 38%).

ექსპორტი

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 15%-ით გაიზარდა და 1 041 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, **სამრეწველო პროდუქციის** ექსპორტი 67%-ით გაიზარდა და 2 976 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **სამკურნალო საშუალებები** - ექსპორტი 120.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 17%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 55% (ზრდა 15%), აზერბაიჯანი 22% (ზრდა 16%), სომხეთი 10% (ზრდა 27%), ყაზახეთი 4% (ზრდა 5-ჯერ), ტაჯიკეთი 4% (ზრდა 54%).
- **სიგარეტები** - ექსპორტი 71 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 20%). საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 70% ((2022-0), უზბეკეთი 3% (კლება 81%), ყაზახეთი 26% (კლება 56%).
- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 100.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 38%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 60% (ზრდა 54%), ყაზახეთი 10% (ზრდა 96%), აზერბაიჯანი 13% (ზრდა 31%), სომხეთი 11% (კლება 16%).

- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 148.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 52%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 45% (ზრდა 42%), უკრაინა 16% (ზრდა 0.1%), ბელარუსი 11% (ზრდა 52%).
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 115.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 17%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 53% (ზრდა 21%), ყაზახეთი 21% (ზრდა 3%), უკრაინა 12% (ზრდა 48%), უზბეკეთი 6% (ზრდა 56%).
- **ღვინო** - ექსპორტი 202.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 83% (ზრდა 5%), უკრაინა 7% (ზრდა 6%), ყაზახეთი 4% (კლება 10%), ბელარუსი 4% (ზრდა 6%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 2 069 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 142%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 30% (ზრდა 8-ჯერ), ყაზახეთი 29% (ზრდა 5-ჯერ), აზერბაიჯანი 21% (ზრდა 42%), სომხეთი 14% (ზრდა 107%).
- **ციტრუსი** - ექსპორტი 34.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 68%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 72% (ზრდა 131%), სომხეთი 26% (კლება 3%).
- **თხილი** - ექსპორტი 22.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 11%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 32% (ზრდა 84%), სომხეთი 31% (კლება 28%), უკრაინა 12% (ზრდა 105%), ყაზახეთი 12% (ზრდა 5-ჯერ).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

- **სატელეფონო აპარატები** - ექსპორტი 8.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 60%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყაზახეთი 40% (ზრდა 16%), სომხეთი 29% (კლება 56%), აზერბაიჯანი 27% (კლება 80%).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 54.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 59%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 86% (კლება 57%), აზერბაიჯანი 13% (კლება 42%).

იმპორტი

დსთ-ს ქვეყნებიდან **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქციის იმპორტი 5%-ით შემცირდა და 747 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი 13%-ით შემცირდა და 2 548 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **მსუბუქი ავტომობილები** - იმპორტი 67.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 34%) იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 52% (ზრდა 13%), აზერბაიჯანი 31% (ზრდა 161%), რუსეთი 9% (კლება 15%).
- **ცემენტი** - 57.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 41%). იმპორტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან.
- **არმატურა** - იმპორტი 90.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 3%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 64% (ზრდა 60%), აზერბაიჯანი 36% (კლება 35%).

იმპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ნავთობის აირები** - 444.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 3%). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 70% (კლება 9%), რუსეთი 30% (ზრდა 17%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 756.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 10%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 73% (კლება 11%), თურქმენეთი 11% (კლება 51%), აზერბაიჯანი 13% (ზრდა 86%).
- **ხორბლის ფქვილი** - იმპორტი 36.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 46%). იმპორტის 99% განხორციელდა რუსეთიდან.
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - იმპორტი 175 მლნ. აშშ დოლარი (კლება 57%). იმპორტიორი ქვეყნები: სომხეთი 98% (კლება 58%), აზერბაიჯანი 2% (კლება 33%).